სერგი ავალიანი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი იდეები*

მისი უწმიდესობის ილია II-ის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში ისეთი პრობლემები გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა ფილოსოფიური მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს. ეს მეცნიერებანია: ონტოლოგია, გნოსეოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ეთიკა, სოციალური ფილოსოფია და სხვ. ამასთანავე, ამ ფილოსოფიურ მეცნიერებათა პრობლემები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ქრისტიანული მართლმადიდებლური თეოლოგიის ძირითადი პრინციპების დაცვასა და დასაბუთებას ემსახურება. მისი უწმიდესობის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში ურთულესი ფილოსოფიური პრობლემები გადმოცემულია მარტივი ქართული ენით, რაც კიდევ უფრო ზრდის მისი ავტორის ნაზრევის პოპულარობას.

ონტოლოგიური პრობლემებიდან, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ავტორის კონცეფცია შემთხვევითობის შესახებ. მისი უწმიდესობა მრავალგზის ამტკიცებს, რომ „არაფერი არ არის შემთხვევითი“ {III. 206}. „ურწმუნონი ფიქრობენ, რომ ჩვენი არსებობა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული“ {III. 6}. სინამდვილეში კი „ღვთის ნება და განგება მართავს ქვეყანას, ხილულსა და უხილავს“ { III. 206}. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი უწმიდესობა უარყოფს შემთხვევითი საგნებისა და მოვლენების არსებობას, ხოლო შემთხვევითობის უარყოფა აუცილებლობის მტკიცებას ნიშნავს. არაფერი არ არის შემთხვევითი; სამყაროში მხოლოდ

*** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II გამორჩეული პატრიარქია ქართული ეკლესიის ისტორიაში. ამ მცირე მოცულობის ნაშრომში ჩვენ ვცადეთ მისი უწმიდესობის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი იდეების გაანალიზება, ხოლო მისი უწმიდესობის მთელი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს, რაც ჩვენს უახლოეს მიზანს წარმოადგენს. ეს ნაშრომი დაწერილია მისი უწმიდესობის სამტომეულის „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“ საფუძველზე, რომელიც გამოცემულია გვანცა კოპლატაძისა და გრიგოლ რუხაძის მიერ. რომაული ციფრები ამ გამოცემის ტომს აღნიშნავს, არაბული კი გვერდებს.**

აუცილებლობა სუფევს. ასეთი კონცეფცია აუცილებლობისა და შემთხვევითობის შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში გამოჩნდა, ხოლო უფრო გვიან ფრანგმა მეცნიერმა ლაპლასმა {1749-1827} იგი მეცნიერული თეორიის სახით ჩამოაყალიბა და მას „ლაპლასური დეტერმინიზმი“ ეწოდა. ლაპლასი უარყოფდა შემთხვევითობის არსებობას, თვლიდა, რომ ყველაფერი „რკინის არტახებით“, ანუ აბსოლუტური აუცილებლობით არის შებოჭილი. სამყაროში უსასრულო რიცხვის საგნები და მოვლენები არსებობს, რომელთაც ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი აერთიანებთ; მიზეზობრივი კავშირის აუცილებელ ნიშანს კი აუცილებლობა წარმოადგენს; მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია; მიზეზი მკაცრი აუცილებლობით წარმოშობს შედეგს. მაგრამ, ამტკიცებს ლაპლასი, ადამიანის შემეცნებითი უნარები შეზღუდულია. მას არ ძალუძს უსასრულო რიცხვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შემეცნება. ამიტომ იგი შემთხვევითს უწოდებს იმას, რისი მიზეზიც არ იცის. ადამიანი რომ უსასრულო შესაძლებლობის უნარით იყოს დაჯილდოებული, მაშინ მისთვის არავითარი შემთხვევითობა არ იარსებებდა. ღმერთისათვის, რომელსაც უსასრულო შემეცნებითი უნარი აქვს, არავითარი შემთხვევითობა არ არსებობს. ლაპლასურ დეტერმინიზმს „მექანისტური“ უწოდეს იმიტომ, რომ იგი ნიუტონის მექანიკას ემყარებოდა და აუცილებლობის ცნებაც მექანისტურად ჰქონდა გაგებული.

შემთხვევითობის უარყოფა და აბსოლუტური აუცილებლობის აღიარება ფატალიზმსაც ახასიათებს, რომელიც ადამიანის ბედის გარდუვალობას ამტკიცებს. ოიდიპოს მეფის ბედი წინასწარ იყო განსაზღვრული: მას უნდა მოეკლა მამა და ცოლად შეერთო დედა. ეს ფატალურ აუცილებლობას წარმოადგენდა, რომლის თავიდან აცილება ოიდიპოსმა, მიუხედავად მრავალგზისი მცდელობისა, ვერ შეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ლაპლასის დეტერმინიზმი, ასევე ფატალიზმი აღიარებს მკაცრი აუცილებლობის არსებობას და უარყოფს შემთხვევითობას, მათ შორის მაინც პრინციპული განსხვავებაა. ლაპლასური დეტერმინიზმი შესაძლებლად თვლის უსასრულო მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შემეცნების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, ადამიანს რომ უსასრულო შემეცნებითი უნარი ჰქონოდა. ფატალისტური დეტერმინიზმი კი პრინციპულად გამორიცხავს ბედის გარდუვალობის შემეცნებას. სწორედ იმიტომ მიმართავდნენ ძველი ბერძნები ორაკულებს {მისნებს}, რომ ადამიანის გონებისათვის ბედის შემეცნებას შეუძლებლად თვლიდნენ.

არსებობდა კიდევ ერთი თეორია აუცილებლობისა და შემთხვევითობის შესახებ, რომელიც არისტოტელეს ეკუთვნოდა და დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას. ამ თეორიის მიხედვით, აუცილებელი არის ის, რაც საგნის არსებიდან გამომდინარეობს, ხოლო რაც ასეთი არ არის, შემთხვევითია. მაგალითად, ამბობდა არისტოტელე, სახლის მშენებელმა თუ მუსი-

კაც იცის, შემთხვევითია, ვინაიდან სახლის მშენებლობას მუსიკის ცოდნა არ ესაჭიროება, ანუ არ არის აუცილებელი, რომ სახლის მშენებელი მუსიკოსიც იყოს. აუცილებელი კი ის არის, რომ მან სახლის მშენებლობა იცოდეს, რაც მისი არსებითი ნიშანია. ასევეა პირიქით, თუ მუსიკოსმა სახლის მშენებლობა იცის, შემთხვევითია, მუსიკის ცოდნა კი აუცილებელი. მეორე მაგალითი, ადამიანის მოკვდაობა აუცილებელია, ვინაიდან იგი მისი არსებიდან გამომდინარეობს; მაგრამ ის, რომ იგი მოკვდა თავზე აგურის დაცემის შედეგად, შემთხვევითია. არ იყო აუცილებელი, რომ მას თავზე აგური დასცემოდა.

ამ თეორიიდან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს აბსოლუტური შემთხვევითობის, ანუ უმიზეზო საგნებისა და მოვლენების არსებობა. ის, რომ მშენებელმა მუსიკა იცის ან მუსიკოსმა მშენებლობა, გარკვეული მიზეზის მქონეა და, მაშასადამე, აუცილებელიც. ასევე აგური შემთხვევით არ ჩამოვარდებოდა; მას რაღაც მიზეზი ჰქონდა და, მაშასადამე, აუცილებელი იყო. ამ თეორიაში შემთხვევითობას რელატიური მნიშვნელობა აქვს; იგი რაღაც სხვის მიმართ არის შემთხვევითი, თორემ თავისთავად მიზეზობრივად განპირობებული ანუ აუცილებელია. ამ აზრით, აბსოლუტური შემთხვევითობა ანუ უმიზეზო საგნებისა და მოვლენების არსებობა უარყოფილია; არ არსებობს აბსოლუტური შემთხვევითობა.

მაგრამ მეოცე საუკუნეში კვანტურმა მექანიკამ მიკროსამყაროში ისეთი კანონზომიერება აღმოაჩინა, რომელიც, ერთი შეხედვით, შემთხვევითობის არსებობას ასაბუთებს. ამით ისარგებლა ზოგიერთმა ფილოსოფოსმა {განსაკუთრებით ნეოპოზიტივისტებმა} და დაიწყო მტკიცება აბსოლუტური შემთხვევითობის არსებობის შესახებ. ამჯერად თავს შევიკავებთ ამ კონცეფციების დეტალური ანალიზისაგან, ერთი მხრივ, სირთულის, ხოლო მეორე მხრივ, იმის გამო, რომ იგი ჩვენს ახლანდელ მიზნებს სცილდება. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს მას ჩვენს სქელტანიან წიგნში „ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია“ {თბილისი, 1974}.

აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აბსოლუტურად აუცილებელი მოვლენების არსებობის მტკიცება პრინციპულად შეუძლებელია, ხოლო ლოგიკურად — მცდარი. ქვეყნად არაფერი ისეთი არ არსებობს, რასაც თავისი არსებობის მიზეზი არ ჰქონდეს, რაღაცის მიერ არ იყოს გამოწვეული. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და, მაშასადამე, აუცილებელია.

ეს ვრცელი მსჯელობები აუცილებლობისა და შემთხვევითობის შესახებ მხოლოდ იმიტომ ვაწარმოეთ, რომ გვეჩვენებინა მისი უწმიდესობის კონცეფციის უპირატესობა ყველა ზემოხსენებულ თეორიასთან შედარებით. ლაპლასის დეტერმინიზმის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მას მექანისტური ხასიათი აქვს. შემთხვევითობის არარსებობა, მისი აზრით, მექანიკური ძალების მოქმედების შედეგია. მისი უწმიდესობა კი თვლის, რომ „ღვთის ნება და განგება“ წარმართავს ყველაფერს. ეს კი მისი უწმიდესობის კონ-

ცეფციას განასხვავებს ყველა ზემოჩამოთვლილი კონცეფციებისაგან.

მკაცრი — ღვთიური — აუცილებლობის არსებობას და აბსოლუტური შემთხვევითობის არსებობის უარყოფას ემყარება მისი უწმიდესობის მეორე იდეა **სამყაროს სტრუქტურის შესახებ**. იგი გვეუბნება, რომ „ყველაფერი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა შექმნილია იერარქიული წესრიგით“ [III. 491]. ეს ნიშნავს, რომ ღმერთმა შექმნა სამყაროს უზენაესი წესრიგი; სამყარო დიზაინირებულია ღმერთის მიერ. კოსმოსური დიზაინი კი კვლავ უნივერსალურ აუცილებლობას ემყარება. ღმერთის მიერ ყველაფერი განსაკუთრებული სიზუსტითაა გაანგარიშებული და გათვლილი. უფალი ეუბნება თავის მოწაფეებს: “თმანიცა თქუენისა თავისანი ყოველნი განრაცხილ არიან“ {ლუკ. 12, 7}. სწორედ ამიტომ სამყაროში უზენაესი კანონზომიერება და ჰარმონია სუფევს; არაფერი არ არის ზედმეტი და შემთხვევითი. ვის შეეძლო მოეწყო ასეთი ჰარმონია, თუ არა ღმერთს? ბევრი დიდი ფილოსოფოსი სამყაროში არსებულ ჰარმონიულობაზე დაკვირვების შედეგად ღმერთის არსებობის იდეამდე მიდიოდა. პლატონი წერდა: „მაშ, განვსაჯოთ, რა ძალას შეეძლო აეძულებინა ესოდენ დიდი მასები, რომ წრიულად ებრუნათ ერთი და იმავე დროის განმავლობაში, როგორც დღეს ბრუნავენ? რომელ ბუნებას შეეძლო მოემოქმედა? მე ვამტკიცებ, რომ ამის მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი; სხვაგვარად ეს შეუძლებელია“ {ეპინომისი, 983ბ - 983ც}. ანალოგიურ თვალსაზრისს გამოთქვამდა ახალი დროის ბევრი ფილოსოფოსი. მაგალითად, ფრანგი ფილოსოფოსი დეკარტი წერდა მის მეგობარს: „ნუ შიშობთ ყველგან განაცხადოთ, რომ ღმერთმა ისე დაადგინა ბუნების კანონები, როგორც სუვერენი {უმაღლესი ხელისუფალი — ს.ა.} აწესებს კანონებს თავის სამფლობელოში“. ნიუტონი წერდა: „მზის, პლანეტებისა და კომეტების ესოდენ გამაოგნებელი შეერთება შეუძლებელია სხვაგვარად მომხდარიყო, თუ არა მძლეთა-მძლე და ბრძენთა უბრძენესი არსების ზრახვით და ნებით... არსებისა, რომელიც მართავს ყველაფერს არა როგორც სამყაროს სული, არამედ როგორც კოსმოსის მბრძანებელი და თავისი მბრძანებლობის მიხედვით უნდა იწოდებოდეს როგორც უფალი ღმერთი ყოვლისმპყრობელი“.

XVII- XVIII საუკუნეების მიჯნაზე ცხარე კამათი წარმოებდა დიდ გერმანელ ფილოსოფოს ლაიბნიცსა და ნიუტონს შორის ამ პრობლემის თაობაზე. ორივე მათგანი უდავოდ თვლიდნენ, რომ სამყაროში არსებული ჰარმონია ღვთაებრივი შემოქმედების პროდუქტია. დავის საგანს მხოლოდ ის წარმოადგენდა, ერევა თუ არა ღმერთი პერიოდულად მის მიერ შექმნილი სამყაროს წყობაში. ლაიბნიცი ამტკიცებდა, რომ ღმერთმა წინასწარ შექმნა სამყაროში არსებული ჰარმონია, ხოლო შემდეგ მის საქმიანობაში აღარ ერევა. ამ თვალსაზრისს „პრესტაბილური ჰარმონია“ ეწოდა. ნიუტონი კი თვლიდა, რომ ისევე როგორც მესაათე დრო და დრო მართავს საათს, ასევე ღმერთი პერიოდულად ერევა სამყაროს წყობაში, აწესრიგებს

მას; ხოლო ლაიბნიცს მიაჩნდა, რომ ეს თვალსაზრისი ღმერთის ბუნებას ამცირებს, ვინაიდან გამოდის, რომ ღმერთმა იმთავითვე — კრეაციის პროცესში — ვერ შეძლო ისეთი სრულქმნილი სამყაროს შექმნა, რომელიც შემდგომში შესწორებას აღარ მოითხოვდა. თავის მხრივ, ნიუტონი ბრალს სდებდა ლაიბნიცს სამყაროსათვის ღმერთის საჭიროების საკითხში. თუ ღმერთი აღარ ერევა მის მიერ შექმნილი სამყაროს წყობაში, მაშინ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ თითქოს ღმერთი სამყაროს აღარ ესაჭიროება. ეს საკითხი მართლაც იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია რომელიმე ერთი მხარის პოზიციებზე დადგე.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია **ღმერთის არსებობის დასაბუთების რამდენიმე ვარიანტი**. ანსელმ კენტერბერიელი ამტკიცებდა, რომ ღმერთი არის ყოვლად სრული არსება და, მაშასადამე, მას არც არსებობა აკლია. დეკარტი კი თვლიდა, რომ ჩვენს გონებაში არსებული უსასრულო არსების იდეა ღმერთის არსებობას ადასტურებს, ვინაიდან ჩვენ სასრული არსებანი ვართ და არ შეიძლება უსასრულო არსების იდეა ჩვენი სასრული შესაძლებლობის მქონე გონებას შეექმნა. იგი ღმერთის მიერ თანდაყოლილია. ეს კი ნიშნავს, რომ ღმერთი არსებობს. ამ არგუმენტებს ღმერთის არსებობის დამსაბუთებელი **ონტოლოგიური** არგუმენტები ეწოდება.

მაგრამ ონტოლოგიური არგუმენტი მაინც ნაკლოვანია. არ შეიძლება, რომ ღმერთის არსებობა ჩვენს გონებაში არსებული უსასრულო იდეიდან გამოვიყვანოთ. ლაიბნიცი ამბობდა, რომ ღმერთის არსებობა ბუნებაში, როგორც ღვთის შემოქმედების პროდუქტში, უნდა ამოვიკითხოთო. სწორედ ამას ამტკიცებდნენ პლატონიც და ნიუტონიც. სამყაროში არსებული გასაოცარი წესრიგი არ შეიძლება ბუნების ბრმა, მექანიკური ძალების მოქმედების შედეგი იყოს. მისი შემოქმედი უნდა ყოფილიყო „განსაცვიფრებლად გაწაფული მექანიკასა და გეომეტრიაში“ {ნიუტონი}, ანუ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი. მაშასადამე, სამყაროში არსებული უზენაესი წესრიგი და კანონზომიერება ღმერთის არსებობას ასაბუთებს. ამ იდეის შესაბამისად მისი უწმიდესობა გვეუბნება, რომ „არსებობს მრავალი წიგნი, რომლებიც ღვთის არსებობას ამტკიცებს; მაგრამ ზოგჯერ მხედველობაში რჩებათ ყველაზე მთავარი, რომელიც ღვთის არსებობასა და ძალებს ყველაზე უკეთ ასაბუთებს — გარემომცველი სამყარო. თუნდაც ერთი რომელიმე ყვავილი ავიღოთ და დავაკვირდეთ... ყველაზე დიდი საბუთი, რომელიც ღვთის არსებობასა და ძალას ასაბუთებს, ბუნებაა“ {1.196}. სწორედ ბუნებაში არსებული უზენაესი წესრიგი და კანონზომიერება არის ღმერთის არსებობის ყველაზე უტყუარი და ნათელი საბუთი.

ბუნების კანონზომიერების შემეცნების საფუძველზე ღმერთის არსებობის დასაბუთება ცოდნისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის აუცილებელ კავშირზე მიუთითებს, რაც მისი უწმიდესობის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. „რწმენა, — ამტკიცებს მისი უწ-

მიდესობა, — არ გამორიცხავს მეცნიერებას; პირიქით, მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის იღვწის“ {III, 77}. ამ იდეის საილუსტრაციოდ მის უწმიდესობას მოაქვს ციტატა დიდი თეოლოგის კლიმენტი ალექსანდრიელის ნაშრომიდან, სადაც ნათქვამია, რომ „არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რწმენასთან, ისევე როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე“; ეს ნიშნავს, რომ ცოდნა და რწმენა არა მარტო არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არც არსებობს. კლიმენტი ალექსანდრიელის აზრით, „ყოველი მეცნიერება დაფუძნებულია პირველსაწყისებზე, რომლებიც წარმოადგენენ თვალნათლივ, ცხად ჭეშმარიტებას — აქსიომებს. მათი დამტკიცება შეუძლებელია და ისინი მიიღებიან მხოლოდ რწმენით“ {1. 19}. იქვე მისი უწმიდესობა შენიშნავს, რომ რწმენა მტკიცებას არ საჭიროებს; დამტკიცებას მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერეული მოსაზრებები მოითხოვს. ეს არის ცოდნისა და რწმენის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი.

თანამედროვე მეცნიერება იმდენად ახლოს მივიდა რწმენასთან, რომ მათი ძირითადი მოსაზრებანი ხშირად თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. „ჭეშმარიტების ძიება, — გვეუბნება მისი უწმიდესობა, — ადამიანის სულის თვისებაა და ეს პროცესი აუცილებლად მიგვიყვანს ღმერთამდე, აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე და მოყვასის სიყვარულამდე“ {1. 120}.

მაგრამ წარსულში ბევრი ფილოსოფოსი და თეოლოგი ასე როდი ფიქრობდა. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ცოდნასა და რწმენას ერთმანეთს უპირისპირებდნენ, ვინაიდან ცოდნას მეცნიერება იძლევა, რწმენას კი რელიგია, ამიტომ მათ შორის, მათი აზრით, არაფერი საერთო არ არის. ცნობილ ქრისტიან მწერალსა და მოაზროვნეს ტერტულიანეს ეკუთვნის სიტყვები: “Credo quia absurdum” {„მწამს, თუმცა აბსურდია“}. იგი ამტკიცებდა, რომ თუ ქრისტიანულ დოგმატებს ცოდნის თვალით შევხედავთ, აბსურდად მოგვეჩვენება, თუმცა იგი აბსურდი როდია, პირიქით, ჭეშმარიტია. „ძე ღვთისა ჯვარზე გააკრეს; ჩვენ არ გვრცხვენია, თუმცა, ვფიქრობთ, უნდა გვრცხვენოდეს. მოკვდა ძე ღვთისა; ეს სრულიად უდავოა, ვინაიდან არაფერს არ შეესაბამება; დასაფლავების შემდეგ აღდგა, ეს უეჭველია, ვინაიდან შეუძლებელია.“ ტერტულიანე, — დაბადებით წარმართი, — ქრისტიანული წესით მოინათლა და ღრმად მორწმუნე თეოლოგი გახდა. იგი ცოდნასა და რწმენას ერთმანეთისაგან თიშავდა, თუმცა მაინც რწმენის უპირატესობისაკენ იხრებოდა. იგი სვამდა კითხვას: „რა საერთო აქვს ათენსა და იერუსალიმს, აკადემიასა და ეკლესიას?“ ამით მას იმის თქმა სურდა, რომ ათენის წარმართ ფილოსოფოსებს იერუსალიმის ქრისტიანული რწმენისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

უფრო გვიან, განსაკუთრებით სქოლასტიკის პერიოდში, ჩამოყალიბდა „ორგვარი ჭეშმარიტების“ თეორია — რელიგიური და მეცნიერული. თვ-

ლიდნენ, რომ არც ერთი მათგანის უარყოფა არ შეიძლება, თუმცა შეიძლება ისინი თავსებადი არ იყოს. ცოდნა და რწმენა შუა საუკუნეებში ერთმანეთისაგან იყო გათიშული. ორგვარი ჭეშმარიტების თეორია ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მეცნიერული ჭეშმარიტების აღიარების თვალსაზრისით. მანამდე კი ფილოსოფიაც და მეცნიერებაც თეოლოგიის მსახურად {Ancila theologiae} ითვლებოდა; გონების როლი შემეცნების პროცესში თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ფილოსოფიურმა აზროვნებამ დეგრადაცია განიცადა ანტიკურ ფილოსოფიასთან შედარებით. ცხადია, რომ მისი უწმიდესობის პოზიცია ცოდნისა და რწმენის ურთიერთობის დარგში პრინციპულად განსხვავდება წარსული ეპოქის ფილოსოფოსებისა და თეოლოგების შესაბამისი პოზიციისაგან.

ახალ დროში ცოდნისა და რწმენის ერთმანეთისაგან გამიჯვნა კანტმა სცადა. იგი თვლიდა, რომ ადამიანს არ შეუძლია ობიექტური — ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი — რეალობის შემეცნება. ამიტომ ის, რაც არ შეიმეცნება, რწენის სფეროს ეკუთვნის. მაგალითად, კანტის აზრით, ღმერთის არსებობის შემეცნება თეორიული გონების სფეროში შეუძლებელია; მას მეცნიერული მეთოდებით ვერ შევიმეცნებთ; ამიტომ იგი რწმენის საგანია. კანტი, რასაკვირველია, ათეისტი არ ყოფილა. იგი თვლიდა, რომ პრაქტიკული გონების, ანუ ეთიკის სფეროში ღმერთის არსებობის დასაბუთება არა მარტო შეიძლება, არამედ აუცილებელიცაა. ამ შემთხვევაში კანტს მხედველობაში ჰქონდა აბსოლუტური ღირებულება ანუ ღმერთი. მისი აზრით, მართალია, მორალი რელიგიიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ მისი არსებობის აუცილებელ პირობას ღმერთის არსებობა წარმოადგენს. ერთ სიტყვით, როგორც თვითონ ამბობს, მან შეზღუდა ცოდნის სფერო, რათა ადგილი დაეთმო რწმენისათვის.

ადამიანის გონებრივი უნარების შეზღუდულობას მისი უწმიდესობაც აღიარებს. იგი წერს: „ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობანი შეზღუდულია“ {III. 77}. მაგრამ იგი ამის საფუძველზე, კანტისაგან განსხვავებით, ცოდნისა და რწმენის ერთმანეთისაგან გათიშვამდე როდი მიდის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კანტის თვალსაზრისი ღმერთის არსებობის შესახებ უდავო როდია. კერძოდ, იგი არ იყო მართალი, როდესაც თეორიული გონების სფეროში ღმერთის არსებობის შემეცნების შესაძლებლობას უარყოფდა. მეოცე საუკუნის მეცნიერულმა აღმოჩენებმა კანტის ეს თვალსაზრისი გააბათილა. სწორედ მეცნიერება — თეორიული გონება — ასაბუთებს ღმერთის არსებობას. ასევე აღმოჩნდა ორგვარი ჭეშმარიტების თეორიის უსაფუძვლობა. ჭეშმარიტება, როგორც მისი უწმიდესობა ბრძანებს, ერთია და არა მრავალი. პლურალიზმს ცოდნის სფეროში აგნოსტიციზმამდე მივყავართ. ეს კარგად იცოდნენ ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებმა, კერძოდ, პლატონმა და არისტოტელემ, როდესაც ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ სოფისტურ რელატივიზმსა და ჰერაკლიტეს დიალექტიკას, რომელთაც შემეც-

ნების სფეროში ბუნდოვანება და გაურკვევლობა შემოჰქონდათ.

მისი უწმიდესობის ის აზრი, რომ რწმენა არ გამორიცხავს ცოდნას, არამედ მის მტკიცებულებებს იყენებს ახალი აღმოჩენებისათვის { III. 77}, ჩვენი აზრით, აშკარად დაადასტურა მეოცე საუკუნის კოსმოლოგიურმა აღმოჩენებმა. მხედველობაშია „დიდი აფეთქების თეორია“, რომელიც თითქმის სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა რელიგიური კრეაციონიზმის იდეასთან, რაც აღწერილია „ბიბლიის“ პირველსავე გვერდებზე. იყო თუ არა დიდი აფეთქება და სამყაროს წარმოშობა არარაობიდან? მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ კითხვას დადებითად პასუხობს. „სამყაროს შექმნის მეცნიერული სურათი, — წერს ერთი მეცნიერი და მეცნიერების პოპულარიზატორი პ. დევისი, —ღრმად ბიბლიური აღმოჩნდა, ვინაიდან იგი ასახავს არა მარტო მატერიის, არამედ სივრცის დაბადებასაც... მაშასადამე, დიდი აფეთქება არ მომხდარა სამყაროში. ეს იყო თვითონ სამყაროს დაბადება მთლიანად და სწორედ არარაობისაგან“ {Девис.Суперсила, 1989.стр. 22}.

დიდ აფეთქებამდე არსებობდა დაახლოებით ასანთის კოლოფის ტოლი უზარმაზარი გრავიტაციული ძალისა და ასევე უზარმაზარი ტემპერატურის მქონე რაღაც „ცეცხლოვანი ბურთი“. და, აი მოხდა სასწაული; გრავიტაციის ძალები შეცვალა განზიდვის ძალებმა და დაიწყო გაფართოება — სამყაროს შექმნა. რა ძალას შეეძლო ამის გაკეთება, გარდა ღვთაებრივისა? გაფართოების შედეგად შეიქმნა მატერიალური ნაწილაკები: ატომები, ელექტრონები, პროტონები, მილიარდი წლების შემდეგ კი მნათობები, გალაქტიკები, სივრცე, დრო და ყველაფერი, რაც ამჟამად არსებობს. მართალია, ამ თეორიის ცალკეული დეტალები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, მაგრამ ის, რასაც მეცნიერებამ მიაღწია, სრულ შესაბამისობაშია რელიგიურ კრეაციონიზმთან. ცოდნისა და რწმენის დამთხვევის უკეთეს დასაბუთებას ადამიანი ვერ იპოვნის.

მატერიალიზმი ოდითვე ამტკიცებდა მატერიის მარადიულობას, რასაც იგი მისი მსოფლმხედველობის საფუძვლად თვლიდა. დიდი აფეთქების თეორიამ კი დაარღვია ეს ვარაუდი. ახალი კოსმოლოგიური გამოკვლევების შედეგად ყალბი აღმოჩნდა მატერიის მარადიულობის თეზისი. ბევრი უცხოელი მეცნიერი დაუფარავად აცხადებს, რომ „მეცნიერებამ აღმოაჩინა ღმერთი.“ ერთი სიტყვით, ცოდნა და რწმენა სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა.

ამ მეცნიერულ აღმოჩენებს დიდი მნიშვნელობა აქვს ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ რწმენა მეცნიერული დასაბუთების გარეშე უძლურია. მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთდამთხვევა რელიგიურ მსოფლმხედველობას მყარ საფუძველს უქმნის და წარმატებებსაც აღწევს ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ერთმანეთისაგან მოწყვეტის, მით უმეტეს, დაპირისპირების კონცეფცია წარსულს ჩაბარდა. ისინი ერთმანეთს ავსებს, ანუ როგორც მისი

უწმიდესობა ბრძანებს, „მეცნიერებაც და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად“ {III. 29}.

მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთკავშირის საუკეთესო მაგალითს ქართულ სინამდვილეში ვხვდებით. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარების პროცესს“ {III. 241}. ბევრი ცნობილი მეცნიერი აქტიურად თანამშრომლობს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან; თვითონ მისი უწმიდესობა არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. იგი არა მხოლოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ბურჯია, არამედ აგრეთვე მეცნიერული იდეების პროპაგანდისტიც. იგი ახალგაზრდა თაობას ანალიტიკური და ფილოსოფიური აზროვნებისაკენ მოუწოდებს {III. 168}, ვინაიდან თვლის, რომ „მეცნიერებასა და განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“ {III.193}.

მისი უწმიდესობის მდიდარ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს **ფილოსოფიური ანთროპოლოგიის** პრობლემებს. იგი ეხება ადამიანის დანიშნულების, მისი მორალური და საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებს და უჩვენებს ცოდვებისაგან თავდახსნის გზებს. ამდენად მის ეპისტოლეებსა და ქადაგებებს ფილოსოფიასთან ერთად დიდი პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს.

ადამიანის პრობლემებთან დაკავშირებით მისი უწმიდესობა გვეუბნება, რომ „ადამიანი ხატებაა ღვთისა; ამიტომაა იგი გონიერი და უკვდავი“ {1.61}. იგი თვლის, რომ „ყველაზე დიდებული და ძვირფასი, რაც უფალმა შექმნა, ადამიანია. მასთან შედარებით თვით მთელი ქვეყნის ერთად შეგროვილი სიმდიდრეც კი უფასურდება“ {I. 189}. სხვა ადგილზე ნათქვამია, რომ „დიდია უფალი და მიუწვდომელი ადამიანის გონებისა და გულისათვის და საკვირველია მისი საქმენი, მაგრამ ყველაზე საკვირველი მის ქმნილებათაგან ადამიანია“{II.339}. ეს პრინციპული მნიშვნელობის იდეა საფუძვლად უძევს ანთროპოცენტრისტულ მსოფლმხედველობას. სამყარო ღმერთმა შექმნა ადამიანისათვის. კრეაციის მიზანს, საბოლოო ჯამში, ადამიანი წარმოადგენდა. ადამიანი ღმერთმა კრეაციის მეექვსე დღეს შექმნა, ე. ი. მაშინ, როდესაც სამყარო მომზადდა მის საცხოვრებლად. კრეაციონიზმი და ანთროპოცენტრიზმი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

მისი უწმიდესობა მიუთითებს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემების სირთულეზე. „ბევრი რამ თქმულა და დაწერილა ადამიანის შესახებ, მაგრამ იგი მაინც უდიდეს საიდუმლოებად რჩება, რადგან ვერასოდეს ვერ ავხსნით იმას, თუ ვინ არის, ან რას წარმოადგენს ადამიანი“ {II.366}.

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სხვა პრობლემებიდან მისი უწმიდესობის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამპარტავნობის, შემწყნარებლობის, თავისუფლებისა და სხვა პრობლემები. იგი თვლის, რომ „**ამპარტავნობა** ანუ ქედმაღლობა მანკიერი გრძნობაა, საძრახისი და ყოვლად

დამამცირებელი“ {I. 206}. ცოტა ქვემოთ მისი უწმიდესობა კიდევ უფრო აკონკრეტებს ამპარტავნობის ცნებას. „ამპარტავნობის სათავე, — განარტავს იგი, — პატივმოყვარეობაშია, ეგოიზმში, საკუთარი უპირატესობის დამკვიდრებაში... ასეთი ადამიანისათვის სხვა პიროვნებას არავითარი ღირებულება არა აქვს; მოყვასი და მახლობელი მისთვის იმდენად არსებობს, რამდენადაც მას სჭირდება“ {I. 233}. ამპარტავნობა, გვაფრთხილებს მისი უწმიდესობა, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე ცოდვაა. „ღმერთს ყველაზე მეტად ამპარტავანი არ მოსწონს“ {III. 59}. კიდევ მეტიც, „ამპარტავნობა სძაგს ღმერთს“ {III.165}. ეშმაკი, ვიდრე მას ამპარტავნობის სენი შეეყრებოდა, ანგელოზი იყო; ამპარტავნობამ იგი ზეციდან დაამხო და ეშმაკად აქცია. ამპარტავნობა გონების სიბრმავეს ჰგავს; ამპარტავანი ადამიანი ნაკლს მხოლოდ სხვა ადამიანებში ხედავს და განსჯის მას, ხოლო საკუთარი ნაკლი მისთვის შეუმჩნეველია. „რაჲსა ხედავ წუელსა თვალსა შინა ძმისა შენისასა, — გვმოძღვრავს უფალი, — და დირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი?...ორგულო, ამოიღე პირველად დირეჲ თვალისაგან შენისა და მაშინ იხილო ამოღებად წუელი თვალისაგან ძმისა შენისა“ {მთ. 7;3,5}. ამის შესაბამისად მისი უწმიდესობა გვეუბნება, რომ „ამპარტავნობიდან გამომდინარეობს სხვათა განსჯის სურვილი და ვერ დანახვა საკუთარ უძლურებათა“ {III. 59}.

უფრო ხშირად ამპარტავნობის სენი უსაქმურსა და გაუნათლებელ ადამიანებს შეეყრებათ. ამის მაგალითს, სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეშიც ვხვდებით, რასაც ამბიციურობას უწოდებენ. არიან ისეთი ახალგაზრდები, არც თუ ისე ნიჭიერი და არავითარი დამსახურების მქონე, რომელთაც თავი ამაყად უჭირავთ და დამსახურებულ ადამიანებსაც კი ტოლს არ უდებენ. ისიც ხშირად ხდება, რომ ასეთი ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ამპარტავანი რჩება. ამჟამად ისეთ დროსა და ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, როდესაც „მამებსა და შვილებს“ შორის წინააღმდეგობა პიკს აღწევს. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა ახალგაზრდა ცდილობს წაშალოს წინა თაობის თუნდაც დიდი ღვაწლი. ერთ-ერთმა მათგანმა, ამ ცოტა ხნის წინ, სრულიად უსაფუძვლოდ და მოურიდებლად გააუქმა წარსულ წლებში დიდი რუდუნებითა და მძიმე შრომით ჩამოყალიბებული სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის და დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტები, სახელი შეუცვალა დიდი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტს და მას „ცენტრი“ უწოდა. ახალი დროის „კომკავშირელები“ და „ხუნვეიბინები“ ძველი თაობის მეცნიერულ ღვაწლს აბუჩად იგდებენ, ხოლო თვითონ ახლის შექმნის პრეტენზია აქვთ, თუმცა ასეთი რამ სამომავლოდაც კი არა ჩანს. როგორ ჰგავს ყოველივე ეს გასული საუკუნის 30-იანი წლების ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ამპარტავნობას, როცა დიდ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს მის მიერ გახსნილ უნივერსიტეტ-

ში არც კი უშვებდნენ. გავიდა წლები და რა შედეგი მივიღეთ? არსებითად არაფერი. იმდროინდელმა ამპარტავანმა ახალგაზრდობამ სიცოცხლე ისე დაასრულა, რომ ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ შექმნა.

ვინ არიან თანამედროვე ამპარტავანი ახალგაზრდები, რის საფუძველზე თვლიან თავს რეფორმატორებად მეცნიერების, მწერლობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში? სინამდვილეში არავითარი ასეთი საფუძველი არ არსებობს. ისინი დაუცხრომლად ილტვიან მაღალი თანამდებობისაკენ, აბუჩად იგდებენ წლებისა და საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ქართულ ადათ-წესებს, ფარულად თუ აშკარად ებრძვიან დედაეკლესიას და თვით მის საჭეთმპყრობელს, მის უწმიდესობას ილია მეორეს; არ ერიდებიან შეურაცხყოფასა და ბილწსიტყვაობას და არც ეროვნული თვისებები გააჩნიათ. აი, არასრული სურათი ჩვენი ამპარტავანი ახალგაზრდობისა. „თაობათა შორის წინააღმდეგობა, — ბრძანებს მისი უწმიდესობა, — ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება, მაგრამ იგი არ უნდა გადაიზარდოს უგულებელყოფასა და გაუცხოებაში“ {III მ, 51}.

ცხადია, გვყავს ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები. სხვაგვარად ღმერთმა დაგვიფაროს. მათ ხელში ბოროტ ძალებს გაუძნელდებათ გამარჯვება. მისი უწმიდესობა სწორედ ასეთ ახალგაზრდებს მიმართავს:“ესწრაფეთ სიკეთის ქმნას და ყველაფერი აკეთეთ არა მხოლოდ მოვალეობის მოხდის გრძნობით, არამედ სიყვარულით“ {III. 107}.

მისი უწმიდესობა ლაპარაკობს ამპარტავნობის კიდევ ერთ ფორმაზე, რომელსაც იგი „სიმდაბლით ამპარტავნობას“ უწოდებს, რაც ნებისმიერ ამპარტავნობაზე უარესია. ასეთი ადამიანი „ამცირებს თავის თავს, ლაპარაკობს თავის ნაკლზე, უღირსობაზე; მაგრამ საკმარისია, რომ შენიშვნა მისცენ, რომ იგი განრისხდება, ვერ „მოახერხებს წყენის უდრტვინველად გადატანას“ და სწორედ მაშინ აშკარავდება „სიმდაბლით ამპარტავნობის“ ნამდვილი სახე.

რატომ არის ამპარტავნობა ყველაზე დიდი ცოდვა? იმიტომ, რომ მას ათეიზმამდე მივყავართ, ათეიზმის თეორიული საფუძველია. თანამედროვე **მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა**, რომელმაც ბევრი სიკეთე მოგვიტანა, ადამიანი გააამაყა, გააამპარტავნა, შეუქმნა ყალბი წარმოდგენა, რომ თითქოს ყველაფრის შემეცნება და გაკეთება შეუძლია. “მეცნიერებისა და ტექნიკის საოცარმა აღმოჩენებმა, ამბობს მისი უწმიდესობა, {ადამიანის} გონება უსაზღვრო სიამაყით აღავსო. პატივმოყვარეობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ მან უარყო ყოველივე, რასაც თავისი აზროვნებით ვერ მისწვდა“ {III.122}. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გაამპარტავნებული ადამიანი უარყოფს ყველაფრის არსებობას, რაც ჩვენი გრძნობისა და გონებისათვის მიუწვდომელია. იგი ღმერთის არსებობასაც კი ეჭვის თვალით უყურებს, რაკი იგი არ უხილავს. ერთხელ, როდესაც პირველი რუსი კოსმონავტი დედამიწაზე დაბრუნდა, რუსეთის მაშინდელმა ხელისუ-

ფალმა ნ.ს. ხრუშჩოვმა თქვა: „იურა გაგარინი კოსმოსში იყო და ღმერთი ვერ ნახაო“. ამ საკითხთან დაკავშირებით მისი უწმიდესობა შენიშნავს, რომ „ამტკიცებენ იმასაც, თითქოს მეცნიერებით ყველაფრის ახსნა შეიძლებოდეს. მაგრამ განა შეიძლება მეცნიერების საშუალებით გადაწყდეს სულიერი პრობლემები, როცა იგი უძლურია გაარკვიოს ფიზიკური წესრიგის ესა თუ ის მოვლენაც კი“ {I. 373}.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გაამპარტავნებას შეიძლება „სოციალური ამპარტავნობა“ ვუწოდოთ, რაკი იგი არა ცალკეული ადამიანის, არამედ ადამიანთა დიდი ჯგუფის ან, უარეს შემთხვევაში, მთელი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი.

გლობალიზაციის პროცესმა უკვე მოახდინა უარყოფითი გავლენა ადამიანის სულიერ სამყაროზე. ზნეობა საგრძნობლად ჩამორჩა ამ პროცესს. „მეცნიერებასა და ტექნიკაში გადადგმულია უზარმაზარი ნაბიჯები, ხოლო სულიერებასა და ზნეობაში მოხდა დეგრადაცია: ირღვევა ოჯახები, ირღვევა ნორმალური ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის... მიზეზი ერთია: პიროვნება დაშორდა უფალს“ {II. 104}. შურმა, სიძულვილმა და ეგოიზმმა დაიბუდა ადამიანთა დიდი ნაწილის გულებში, „უხეში და აგრესიული გახდა ადამიანი.“ ასეთია ის უარყოფითი მოვლენები, რომლებმაც ჩვენს საუკუნეში თავი იჩინა. მაგრამ „ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი, თუ მას არა აქვს რწმენა; ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რაც არსებობს ადამიანში, როცა მასში არ არის უფალი“ {II.150}.

მისი უწმიდესობა თვლის, რომ „ტექნიკური პროგრესი თავისთავად დიდი მოვლენაა“ {III. 166}, მაგრამ მას ბევრი უარყოფითი თვისებაც აქვს, რის გამოც ამ პროცესს კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ. „გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციას, და ზოგჯერ სრულიად გაქრობასაც, რომელნიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს“ {III. 86}.

გარდა სოციალურისა, არსებობს „ინდივიდუალური ამპარტავნობაც“. ინდივიდუალურ ამპარტავანს კარგად ესმის მისი შემეცნებითი და ფიზიკური უნარების შეზღუდულობა. მას არა სწამს არაფერი, რაც მის შესაძლებლობას აღემატება; არა სწამს რელიგიური სასწაულები {მაგალითად, წყლის გადაქცევა ღვინოდ, ზღვის ზედაპირზე ფეხით სიარული, გარდაცვლილი ადამიანის გაცოცხლება და სხვ.}, ვინაიდან მას ასეთი რამ არ შეუძლია და რაკი არ შეუძლია, თვლის, რომ იგი საერთოდ შეუძლებელია. მას ავიწყდება, რომ „კაცისათვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია“ {II. 450}. ცხადია, რომ ინდივიდუალური ამპარტავნობაც ათეიზმამდე მიდის. ამპარტავნობის მავნებლობა ყველა შემთხვევაში აშკარაა.

მისი უწმიდესობა მიუთითებს, რომ არსებობს ისეთი ღვთაებრივი საიდუმლოებანი, რაც ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია. მაგალითად,

„ადამიანის გონება უძლურია გააცნობიეროს ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლო“ {III. 117}. რელიგიური საიდუმლოების არსი იმაშია, რომ იგი აბსოლუტური არსის — ღმრთეების — შემოქმედებაა, რასაც ადამიანის სასრული გონება ვერ სწვდება. სწორედ ამიტომ იგი რწმენის საგანია და არა ცოდნისა. ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი უილიამ ჯეიმზი წერდა: აბსოლუტური არსი „უნდა გვწამდეს, თუნდაც მისი ნამდვილობა არ იყოს დამტკიცებული; მხოლოდ ფილოსოფიის მტერს შეუძლია მასზე უდიერად ლაპარაკი.“ ღმერთის არსებობის აღიარებამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამყაროზე, როგორც მისი შემოქმედების პროდუქტზე, დაკვირვებას მივყავართ. სამყაროს წყობის თითოეული დეტალის აღმოჩენა ღმერთის არსებობას ასაბუთებს. გაამპარტავნებულ ადამიანს კი ამის დანახვა არ შეუძლია.

მიუხედავად გაუკუღმართებული წარმოდგენებისა, რომელიც ღვთისგან განდგომილ ადამიანებს აქვთ, მართლმადიდებელი ეკლესია მათი შემწყნარებლობისაკენ მოუწოდებს. „**შემწყნარებლობა**, გვეუბნება მისი უწმიდესობა, დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა. ესაა ჩვენი არჩევანი“[II. 98]. მაგრამ შემწყნარებლობას თავისი საზღვრები აქვს. იგი არ უნდა გულისხმობდეს მორალური და ეთიკური ნორმების დარღვევას; ამიტომ იგი უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობის მექანიზმებით“{III. 218}. შემწყნარებლობა არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ყოველგვარ ბოროტებასთან, მკვლელობასთან, ამორალიზმთან შეგუება. ამგვარი შემწყნარებლობა ანარქიამდე მიგვიყვანს, დიდ ზიანს მოუტანს ყველას. მისი უწმიდესობა არაერთხელ მოუწოდებს ტელევიზიის, კინოს მუშაკებს, ჟურნალისტებს, რომ თავი შეიკავონ ამორალური ფილმების ჩვენებისაგან, მკვლელობის, სისასტიკის ლეგალიზაციისაგან, ვინაიდან იგი რყვნის საზოგადოებას, განსაკუთრებით მოზარდ თაობას; აჩვევს, რომ შეეგუოს მორალური ნორმების დარღვევას, რასაც საზოგადოება გადაგვარებამდე მიჰყავს. „ადამიანი უნდა იყოს მორწმუნე და გრძნობდეს პასუხისმგებლობას ღვთისა და ერის წინაშე“ [III. 184]. არსებობს ქრისტიანული მორალის „ოქროს წესი“, რომელიც გვეუბნება, რომ „ვითარცა თქუენ გნებავს, რაჲთა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ“ {ლუკ. 6. 31}. თანამედროვე ენით ეს ნიშნავს, რომ ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც შენ არ გინდა გაგიკეთონ. ადამიანები რომ ამ წესით სარგებლობდნენ, მაშინ ქვეყანა ედემს დაემსგავსებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ,“თანამედროვე ადამიანის ტრაგედია იმაშია, რომ კულტურა {განსაკუთრებით ფილოსოფია} დიდად დასცილდა ეკლესიას“ {III.177}. საეკლესიო მორალი საზოგადოებრივი მორალის საფუძველია. „ღმერთი არის უმაღლესი იდეალი ყველა ჩვენი ზნეობრივი სწრაფვისა“ {I. 15}. ეკლესიური ცხოვრებისაგან დაშორებას ზოგჯერ ადამიანი თვითმკვლელობამდე მიჰყავს, რაც ჩვენს ქვეყანაში ესოდენ გახშირდა. თვითმკვლელი, თუ ის ფსიქიკურად დაავადებული არ

არის, ათეისტია; მას არ სწამს სულის უკვდავება. „არც ერთ თვითმკვლელს არა აქვს საუკუნო სიცოცხლე“ {1 ინ. 3. 15}. საეკლესიო წესების მიხედვით „თვითმკვლელისათვის ლოცვაც კი აკრძალულია“ {III. 8}.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის საკითხმა. მისი უწმიდესობა გვეუბნება, რომ „თუ ჭეშმარიტად გვსურს ქრისტიანის სახელი გვერქვას, შევეცადოთ მტერიც შევიყვაროთ“ {III.13}. ამაზე მეტი შემწყნარებლობა შეუძლებელია. მართლმადიდებელი ეკლესია პატივს სცემს ყველა რელიგიურ კონფესიას. მართლმადიდებელი ქრისტიანობა ყველა სხვა კონფესიისაგან უმაღლესი შემწყნარებლობით გამოირჩევა. ქართველი ერისა და ქართული მართლმადიდებლობის შემწყნარებლობის საუკეთესო ნიმუშია ქართულ-ებრაული თანაცხოვრების ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორია. საქართველოში ბლომად ფუნქციონირებს კათოლიკური ეკლესიები, სინაგოგები, მეჩეთები; მაგრამ მათ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან პრობლემები არასოდეს ჰქონიათ. ქართული ეკლესია და ქართველი ერი მათ მიმართ ყოველთვის შემწყნარებელი იყო. მაგრამ როდესაც ესა თუ ის სექტა ძირს უთხრის ქართულ მართლმადიდებლობას და თვით სახელმწიფოს, მაშინ მისი შეწყნარება ქვეყნისა და ეკლესიის ღალატს ნიშნავს. ქართული ეკლესიის ისტორია კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ისტორიაა, საიდანაც სიკეთე ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. მაგრამ ჩვენს დროში უცხო ქვეყნის და ასევე უცხო რელიგიური მიმდინარეობების გავლენა საგრძნობლად გაიზარდა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არ ზღუდავს პიროვნებას ეკლესიური მრწამსის არჩევის პროცესში. მაგრამ როდესაც ესა თუ ის სექტა, განსაკუთრებით „იეღოვას მოწმეები“, აშკარად ეწევიან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას, შეცდომაში შეჰყავთ ადამიანები, ქრთამავენ მათ, აქტიური ზემოქმედების შედეგად აცვლევინებენ რელიგიურ მრწამსს, ამის შეწყნარება შეუძლებელია. ასეთ ქმედებას ხელისუფლებაც უნდა დაუპირისპირდეს და მართლმადიდებელი ეკლესიაც, ვინაიდან „ქართველი“ და „მართლმადიდებელი“ თითქმის იდენტური ცნებებია. ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ქმედება იმავე დროს ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული აქტია. დემოკრატია მშვიდობას გულისხმობს და არა ბრძოლას. ამიტომ ზოგიერთი პოლიტიკოსის მცდელობა, დემოკრატიის იარლიყით ხელი შეუწყოს უცხოური კონფესიების მომძლავრებას, დაუშვებელია. ხშირად ამერიკის მაგალითი მოაქვთ; მაგრამ ამერიკელი ერი სხვადასხვა ევროპული ერის ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა და ასეთია მათი რელიგიაც. სულ სხვაა ქართული სინამდვილე, რომელსაც ბევრი საეკლესიო და საერო პირი შეეწირა. ყველა ერს საკუთარი კანონზომიერება აქვს; ამიტომ ერთი ქვეყნის კულტურის მეორე ქვეყანაში „გადანერგვა“ ყოველთვის მარცხით მთავრდება.

ადამიანის პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია **თავისუფლების საკითხი,** ვინაიდან ბევრი ფილოსოფოსი ადამიანის არსებად თავისუფლებას თვლის. მაგრამ ფილოსოფიაში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი იდეა, რომელიც აზრთა ისეთ სხვადასხვაობას იწვევდეს, როგორსაც თავისუფლების პრობლემა იწვევს. ამიტომ სრულიად გასაგებია მისი უწმიდესობის დიდი ინტერესი თავისუფლების პრობლემისადმი. იგი გვეუბნება, რომ „ადამიანთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ თავისუფლება არის ის, რის უფლებასაც აძლევს მას ხელისუფლება; მეორე ნაწილს კი ჰგონია, რომ თავისუფლება ყველაფრის უფლებაა. ყოველგვარი აკრძალვის უარყოფა“ {III. 174}. მის უწმიდესობას არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს. ხელისუფლება შეიძლება თავისუფლებას აძლევდეს მისი ინტერესების დამცველ ადამიანთა ჯგუფს, მაგრამ იგი მიმართული იყოს ადამიანთა უმრავლესობის წინააღმდეგ, რასაც თავისუფლებას ვერ ვუწოდებთ.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა მეორე შემთხვევაში, როცა საქმე აბსოლუტურ თავისუფლებას ეხება. ყველაფრის უფლებას, ყოველგვარი აკრძალვის უარყოფას, საზოგადოება ანარქიამდე მიჰყავს. მაგალითად, ამჟამად ჩვენში პრესა, ტელევიზია თავისუფლების სახელით „ურცხვად გვთავაზობენ გარყვნილების ლეგალიზაციას“ {III. 66}, რაც სრულიად შეუწყნარებელია. საზოგადოება არ შეიძლება არსებობდეს გარკვეული აკრძალვების გარეშე; სოციალური კანონები სწორედ ასეთ აკრძალვებს წარმოადგენს, რომელთა გარეშე სახელმწიფოებრივი წყობილება შეუძლებელია. ჯერ კიდევ პლატონი ამბობდა, რომ სადაც კანონები არ არის, იქ არ არის სახელმწიფო. რა არის კანონი, თუ არა გარკვეული — საზოგადოებისათვის მიუღებელი ქმედების — აკრძალვა? ასეთი აკრძალვები {კანონები} აუცილებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის, ნებისმიერი ინდივიდისათვის. კანონი იცავს თითოეულ პიროვნებას სხვა ადამიანების ხელყოფისაგან. ყველა ადამიანმა უნდა შეზღუდოს თავისი ნება და ადგილი დაუთმოს სხვა ადამიანების ნებას, ასეთი შემზღუდავი კი კანონია. აქედან ცხადია მათი წარმოდგენების უსაფუძვლობა, ვინც აბსოლუტურ თავისუფლებას ესწრაფვის. ამგვარი „თავისუფლება“ {კიდეც რომ შესაძლებელი იყოს} იმავე პიროვნებას დაუპირისპირდება, ვინც უსასრულო თავისუფლების მომხრეა. იგი, ისევე როგორც სხვა ადამიანი, არ იქნება დაზღვეული აგრესიისაგან. წმინდა პავლე წერს: „ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი მრგებს მე; ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ არაფერი არ უნდა მფლობდეს მე“ {1კორ. 6. 12}.

თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესია, რომლის შესახებ ერთნიშნა პასუხი ფილოსოფიაში ჯერაც არ არსებობს. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ორი ურთიერთდაპირისპირებული კონცეფცია — ინდეტერმინიზმი და დეტერმინიზმი. კლასიკური ინდეტერმინიზმი ნებელობის აბსოლუტურ თავისუფლებას

ამტკიცებდა, დეტერმინიზმი კი ნებელობის მკაცრი განსაზღვრულობის თვალსაზრისს იცავდა. ინდეტერმინისტები თვლიდნენ, რომ ნებელობის თავისუფლების გარეშე შეუძლებელია ადამიანის აღზრდა ან დამნაშავის დასჯა. თუკი ნებელობა არ არის თავისუფალი, ანუ თუკი ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი მის გარეშე — გარემოში — იმყოფება, მაშინ დანაშაული საერთოდ არ იარსებებს და არც სასჯელს ექნება რაიმე გამართლება, ვინაიდან დამნაშავეს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. რარიგ საფუძვლიანიც არ უნდა იყოს ინდეტემინიზმის არგუმენტები, ერთი რამ მაინც ცხადია: ნებელობის სრული თავისუფლება არ არსებობს და კიდეც რომ არსებობდეს, საზოგადოების არსებობას შეუძლებელს გახდიდა. ადამიანის ნებელობას განსაზღვრავს როგორც სოციალური, ასევე ბუნებრივი კანონები. ყოველივე ეს კი შეუძლებელს ხდის ნებელობის აბსოლუტურ თავისუფლებას.

მეორე მხრივ, არც დეტერმინიზმია უნაკლო. თუ ადამიანის ქცევა მხოლოდ გარეგანი მიზეზებით არის განსაზღვრული და საერთოდ არ არსებობს ნებელობის თავისუფლება, მაშინ ადამიანი არაფრით არ იქნება მანქანისაგან განსხვავებული. შემთხვევითი არ იყო, რომ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგმა ფილოსოფოსმა ლამეტრიმ დაწერა წიგნი „ადამიანი მანქანაა“. ეს კი ადამიანის, როგორც სულიერი არსების, უარყოფას ნიშნავს. ამრიგად, როგორც ინდეტემინიზმი — აბსოლუტური თავისუფლების აღიარება — ასევე დეტერმინიზმი, როგორც თავისუფლების უარყოფა, ურთულეს სიძნელეებს აწყდება.

ნებელობა თავისუფლების გარეშე შეუძლებელია; ნებელობის არსებობა კი ფაქტია; მაშასადამე, ადამიანი თავისუფალია, მაგრამ ეს თავისუფლება არ არის უსასრულო, აბსოლუტური. ღმერთმა ადამს თავისუფალი ნება მიანიჭა, მაგრამ აუკრძალა ცნობადის ხის ვაშლის შეჭმა. ღმერთი სცდის ადამს; დაიცავს თუ არა იგი ღვთის ნებას; მას შეუძლია დაიცვას ან არ დაიცვას, მისი ნება ხომ თავისუფალია! ადამმა ბოროტად გამოიყენა ღვთისაგან ბოძებული თავისუფლება, რასაც მისი ცოდვით დაცემა მოჰყვა. როგორც ვხედავთ, რელიგია ფილოსოფიურ კონცეფციებზე უფრო სწორად წყვეტს თავისუფლებისა და აუცილებლობის საკითხს. იგი უარყოფს როგორც აბსოლუტურ თავისუფლებას, ისე აბსოლუტურ აუცილებლობას. ადამიანი სასრული არსებაა და ასევე სასრულ სამყაროში ცხოვრობს. მისი თავისუფლებაც და აუცილებლობაც შეზღუდულია, ნაკლოვანია. როგორც ვხედავთ, მისი უწმიდესობის პოზიცია თავისუფლებისა და აუცილებლობის თაობაზე სრულიად დასაბუთებულია და ერთდროულად შეესაბამება როგორც მეცნიერულ, ასევე რელიგიურ პოზიციებს.

ასევე სწორია მისი უწმიდესობის თვალსაზრისი თავისუფლებისა და ზნეობრიობის ურთიერთობის შესახებ. იგი თვლის, რომ „ჭეშმარიტი თავისუფლება ზნეობრიობის საფუძველია“ {III. 175}. სწორედ თავისუფალი

ნება აძლევს ადამიანს იმის საშუალებას, რომ კეთილი და ბოროტი ერთმანეთისაგან გაარჩიოს. არჩევის თავისუფლება ინდეტერმინიზმის ბირთვია. თუ ადამიანის თავისუფლებას თან ერთვის გონიერება, განსჯის უნარი, მაშინ მისი ქცევა ყოველთვის ზნეობრივია. მართალია, თავისუფლება ყოველთვის ზნეობრიობას არ უზრუნველყოფს, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ გონიერების დეფიციტის პირობებში; ჭეშმარიტი გონიერება რელიგიურობასთან კავშირშია. გონიერი რელიგიური ადამიანი კი ყოველთვის ზნეობრივია; იგი იცავს ზნეობრიობის იმ პრინციპებს, რომელიც სახარებაშია ჩამოყალიბებული.

მისი უწმიდესობა თვლის, რომ ადამიანი სისტემატურად უნდა ილტვოდეს ზნეობრივი სრულყოფისაკენ. „ყოველი ადამიანი მოწოდებულია რათა თავისთავთან ყოველდღიური შრომით მიაღწიოს სულიერ და ინტელექტუალურ სრულყოფას“ {III. 5}. ამასთანავე, სულიერი სამყაროს სრულყოფა გაცილებით უფრო რთული, მაგრამ უფრო ღირებულია, ვიდრე მატერიალური უზრუნველყოფისათვის ზრუნვა. “შეცნობა საკუთარი თავისა ყველაზე ძნელი და ყველაზე სასარგებლო საქმეა“ {I. 353}. მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ადამიანის ბიოლოგიური არსებობის ძირითადი პირობაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არ ვიმყოფებით ჭეშმარიტ ანთროპოლოგიურ დონეზე. ის, ვინც მარტოოდენ ბიოლოგიური მოთხოვნილებებისათვის იღვწის, ჯერ კიდევ არ არის ადამიანი. ადამიანს ადამიანად აქცევს მისი სულიერი სამყარო; რაც უფრო სრულყოფილია ეს სამყარო, მით უფრო მაღლა დგას იგი ანთროპოლოგიურ „კიბეზე“, მით უფრო უახლოვდება ღმერთს. ადამიანს ღმერთის „ხატად და მსგავსად“ ქმნის არა მისი ბიოლოგიური სტრუქტურა, არამედ მისი სულიერი სამყარო.

მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე „ადამიანის შინაგანი სულიერი წინსვლა, საერთო ჯამში, მკვეთრად ჩამორჩება ტექნიკის მძლავრ განვითარებას და თუ არ აღდგა მათ შორის ბალანსი, ადამიანის მოდგმა მისივე გამოგონების მსხვერპლი გახდება“ {III. 219}. რაც უფრო დიდია მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანს. ბირთვული ფიზიკა საფრთხეს უქმნის კაცობრიობას სულიერი სამყაროს არასრულყოფილების პირობებში. ამ საფრთხისაგან თავის დაღწევის აუცილებელ პირობას სულიერი სამყაროს განვითარება წარმოადგენს. ხელისუფალნი, რომელთაც ადამიანის ბედი აბარიათ, მაღალი ზნეობრივი და ინტელექტუალური თვისებებით უნდა გამოირჩეოდნენ, რათა ადამიანთა საზოგადოებამ თავი დააღწიოს მოსალოდნელ სოციალურ კატასტროფებს.

ამ პროცესში დიდ როლს თამაშობს ეკლესია, განსაკუთრებით მართლმადიდებელი, რომელიც ადამიანებს ჭეშმარიტ მორალურ პრინციპებს უქადაგებს და ადამიანებს ღვთის რწმენას უნერგავს. იგი კრძალავს ომებს, მკვლელობას, ამორალიზმს და სხვა ათასგვარ მომაკვდინებელ ცოდვას.

უფლის მოწოდება „არა კაც კლა“ პაციფიზმის ფუძემდებელი დევიზია; პაციფიზმი კი კაცობრიობის უდიდესი ნაწილის ოცნებაა. ყოველივე ეს კი ღვთის რწმენისაგან მომდინარეობს. “რწმენას მოაქვს სიმშვიდე“ {III. 48}. მშვიდი „დაიმკვიდრებს ქვეყანას“, — გვასწავლის უფალი. მისი უწმიდესობა წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს ღვთაებრივი მოწოდებანი ხშირად ადამიანებისათვის უცხო და მიუღებელი რჩება. როცა პრესა, ტელევიზია და რადიო მკვლელობას, ძალმომრეობასა და ეროტიკას უწევს პროპაგანდას, „ეს არ არის დემოკრატია, — გვეუბნება მისი უწმიდესობა, — ესაა ყველაფერზე დაბალი ვნებების თარეში; ეს არის ფსევდოკულტურა“ {III. 219}. ადამიანებმა ანგარიში უნდა გაუწიონ მართლმადიდებელი ეკლესიის აზრს.

მართლმადიდებლობა გამორჩეული რელიგიაა, რომელიც უმაღლესი ჰუმანურობითა და მაღალი ზნეობრივი თვისებებით ხასიათდება. შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობოდა ეკლესიიდან განდგომილ ადამიანებს: ანათემას გადასცემდნენ, აპატიმრებდნენ, კოცონზე წვავდნენ იმათ, ვინც საეკლესიო დოგმატებს არ იზიარებდა. სხვაგვარად მოაზროვნეები კათოლიკური ეკლესიისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო. კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემა, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა, ეკლესიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან იგი თითქოს ანთროპოცენტრიზმს ეწინააღმდეგებოდა. ამ ბრალდებით აიკრძალა კოპერნიკის ნაშრომი, რომლის ავტორი უკვე გარდაცვლილი იყო; კოცონზე დაწვეს ფილოსოფოსი ჯორდანო ბრუნო, ხოლო დიდი ფიზიკოსი გალილეო გალილეი ჯორდანო ბრუნოს ხვედრს იმით გადაურჩა, რომ მას უარი ათქმევინეს საკუთარ ფიზიკურსა და ფილოსოფიურ შეხედულებებზე. ასეთი მკაცრი ვითარების გამო მეცნიერული და ფილოსოფიური აზროვნება საუკუნეებით ჩამორჩა.

მსგავსი შემთხვევები მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს. „საუკუნეთა მანძილზე ბოროტი ძალა სხვადასხვა სახით ებრძოდა ქრისტეს ეკლესიას; ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება“ {III. 72|. მიუხედავად ამისა, მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიას არასოდეს გამოუყენებია ძალა განდგომილთა წინააღმდეგ; მათ გადმოსარწმუნებლად მხოლოდ ლოცვასა და ქადაგებებს მიმართავდა. მაგრამ უნდა იცოდეს მან, „ვინც ეკლესიას განუდგება, განუდგება თვით სული წმინდას, ხდება ღვთის მბრძოლი და მგმობელი; შედეგი კი ყოველთვის არის მარადიული სიკვდილი“ {III. 6}. მისი უწმიდესობა ქადაგებს მართლმადიდებლობის უპირატესობაზე სხვა რელიგიურ კონფესიებთან შედარებით. „მართლმადიდებლობა ერთადერთი შეუცვლელია, რადგან იგი მომცველი და მემკვიდრეა ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ტრადიციებისა“ {იქვე}. ისეთ დიდ რელიგიებთან შედარებით, როგორიცაა ბუდიზმი და მუსულმანობა, ქრისტიანობას დიდი უპირატესობა აქვს. „ქრისტიანობა — ესაა

რელიგია სრულყოფილი სიყვარულისა, მარადიული სიხარულისა და უხვი ღვთაებრივი ენერგიისა“ {I.15]. მაგრამ ქრისტიანობა არ არის მხოლოდ და მხოლოდ რწმენის საქმე; რწმენა საქმის გარეშე მკვდარია. “ნამდვილი მართლმადიდებელი ის კი არ არის, რომელიც მხოლოდ აზროვნებს მართლმადიდებლურად, არამედ ის, რომელიც კიდეც აზროვნებსა და კიდეც ცხოვრობს ამ წესით“ {III. 6}.

აჩვენებს რა მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესობას, მისი უწმიდესობისათვის პრინციპულად მიუღებელია სხვადასხვა კონფესიისა და სექტის გათანაბრება ქრისტიანულ მართლმადიდებლობასთან. თანამედროვე ეპოქაში აშკარად შეიმჩნევა დემოკრატიის დაცვის საბაბით ასეთი გათანაბრების მცდელობა. მისი უწმიდესობის არგუმენტი ამგვარი ტენდენციის წინააღმდეგ ასეთია: თუ ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ვართ და ვთვლით მართლმადიდებლობას ჭეშმარიტ რელიგიად, მაშინ შეუძლებელია მისი გათანაბრება სხვა რელიგიებსა და სექტებთან, ვინაიდან ჭეშმარიტება ერთია და არა მრავალი. თუ ჭეშმარიტია მართლმადიდებლობაც და სხვა რელიგიებიც, მაშინ „გამოდის, რომ თურმე 10, 100, 1000 ჭეშმარიტება არსებობს; სინამდვილეში ჭეშმარიტება ერთია“ {III.30}. და შემდეგ: „ჭეშმარიტება ერთია და მას მეტოქეობას სხვა ნახევრადჭეშმარიტებანი ვერ გაუწევენ“ { III. 32}. მართლაც, მრავალი ჭეშმარიტების დაშვება საერთოდ ჭეშმარიტების უარყოფას ნიშნავს. ეს კარგად იცოდნენ ანტიკური ეპოქის დიდმა ფილოსოფოსებმა პლატონმა და არისტოტელემ, რასაც ისინი სოფისტური რელატივიზმის წინააღმდეგ მიმართავდნენ. ისიც კარგად ცნობილია, რომ რელატივიზმი ჭეშმარიტების უარყოფას წარმოადგენს. ვინც ამტკიცებს ჭეშმარიტების მიხედვით ყველა რელიგიის ტოლფასოვნებას, უთუოდ ათეისტია, არც ერთ რელიგიას, მათ შორის არც მართლმადიდებლობას, არ თვლის ჭეშმარიტად. ასეთი ადამიანი კი არა მარტო ქრისტიანი არ არის, არამედ საერთოდ არ არის მორწმუნე; იგი ფარული ათეისტი და ღვთისმგმობელია.

სხვადასხვა რელიგიური კონფესიის მომრავლება საქართველოში საფრთხეს უქმნის არა მარტო მართლმადიდებელ ეკლესიას, არამედ ქართულ კულტურასა და სახელმწიფოებრიობას, ვინაიდან მართლმადიდებლობა ქართული კულტურის განუყრელი ნაწილია მთელი მისი ისტორიის მანძილზე. სწორედ ამიტომ მისი უწმიდესობა გვიქადაგებს, რომ “დროა ყველამ გააცნობიეროს ისიც, თუ რა საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას უცხო რელიგიებისა და ტოტალიტარული სექტების თარეში... სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქე სულიერი აგრესიისაგან. მით უმეტეს, რომ სექტების მოქმედება უკვე ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებივ სახეს იღებს“ {III. 114]. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი უწმიდესობის ეს მოწოდება ჯერჯერობით რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სექტების ძირგამომთხრელი საქმიანობა არა მარტო არ იზღუდება,

არამედ კიდევ უფრო მეტად აკანონებენ მათ უფლებებს და მათ წინააღმდეგ მიმართულ აქტს კრძალავენ.

ამჟამად განსაკუთრებული აგრესიულობით „იეღოვას მოწმეების“ სექტა გამოირჩევა, რომელსაც უცხოეთიდან აფინანსებენ, რითაც საკმაოდ ხშირად „ყიდულობენ“ ადამიანთა სულებს, უცვლიან მათ რწმენას, აბინძურებენ მათ სულიერ სამყაროს.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემწყნარებლობით გამოირჩევა, მაგრამ იგი, ამასთანავე, ვალდებულია დაიცვას თავისი მრევლი, რომელიც ამჟამად საქართველოში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს. მისი უწმიდესობა შეუძლებლად თვლის იმ სექტების შემწყნარებლობას, რომლებიც განსაკუთრებით აგრესიულია. იგი გვეუბნება, რომ „ზომიერების დაცვაა საჭირო რელიგიური თავისუფლების თვალსაზრისითაც. მიმაჩნია, რომ თავისუფლებით არ უნდა სარგებლობდნენ ის სექტები და რელიგიური მიმდინარეობანი, რომელნიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას, საზოგადოებას და, საერთოდ, ქვეყანას“ {III. 219}.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ რელიგიური პლურალიზმი, საბოლოო ჯამში, მიმართულია საერთოდ რელიგიის უარყოფისაკენ, ათეიზმისაკენ. ადამიანის გონება, მისი სულიერი სამყარო იბნევა, მიმართულებასა და რწმენას კარგავს პლურალიზმის პირობებში. პოლითეიზმის ეპოქა დიდი ხანია დამთავრდა, მონოთეიზმი კი პლურალიზმთან შეუთავსებადია. ღმერთი, როგორც აბსოლუტური არსი, არ შეიძლება მრავალგანზომილებიანი იყოს.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას კარგად აქვს შეგნებული მეცნიერული ცოდნის მნიშვნელობა სხვადასხვა სექტისა და რელიგიური მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ყოველთვის ესწრაფვოდა და ესწრაფვის მეცნიერებასთან კავშირს. მისი უწმიდესობა გვეუბნება, რომ „მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ჰქონდეს კონტაქტი მეცნიერებთან... დადგა დრო, როდესაც თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური გადაწყვეტა სასიცოცხლოდ აუცილებელი შეიქმნა“ {III. 156}. მართლაც, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, განსაკუთრებით მის საჭეთმპყრობელს მჭიდრო კავშირი აქვს მეცნიერებთან, რომლებიც მას ხშირად სტუმრობენ. თვითონ მისი უწმიდესობა, როგორც ზემოთ ვთქვით, არჩეულია საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი უწმიდესობის გამორჩეული ინტერესი ფილოსოფიისადმი. ვფიქრობთ, ქართული საპატრიარქოს ისტორიას ასეთი რამ ანტონ პირველის შემდეგ არ ახსოვს. ცხადია, არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს მისი უწმიდესობის, საქართველოს პატრიარქის კალისტრატეს {ცინცაძის} ინტერესი მეცნიერებისა და საქართველოს კულ-

ტურული მემკვიდრეობისადმი, მაგრამ მაშინდელი ათეისტური ეპოქა მეტის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა. მისი უწმიდესობა ილია მეორე ურჩევს მკვლევარებს, რომ „ყველა უმაღლეს სასწავლებელში კარგი იქნებოდა, რომ ასწავლიდნენ ზნეობრივ ფილოსოფიას...ამ ფილოსოფოსთა განსჯის გაცნობა მეტად გაამდიდრებს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს“ {I. 297}. ხელისუფლების წინაშე ეს საკითხი მის უწმიდესობას ხშირად დაუსვამს კიდევ უფრო ფართო მასშტაბით. „ჩვენმა საშუალო სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა ლოგიკური და ფილოსოფიური აზროვნების კურსი უნდა შემოიღონ. ამ გზით ჩვენი ახალგაზრდობა ლოგიკურ აზროვნებას ისწავლის და შეცდომები აღარ მოუვა, რომელიც ხშირად საბედისწერონი ხდებიან“ {I. 167}. მაგრამ მისი უწმიდესობის მცდელობასა და მოწოდებას ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისაკენ წინ ეღობება ქვეყანაში აშკარად გამოხატული ტენდენცია ფილოსოფიური და მეცნიერული აზროვნების განვითარების წინააღმდეგ. ქართველი მეცნიერები და ფილოსოფოსები მისი უწმიდესობის სახით მეცნიერებისა და ფილოსოფიის ჭეშმარიტ ქომაგს ხედავენ და ხშირად მიმართავენ მას. თავის მხრივ, მისი უწმიდესობა არ იშურებს ძალასა და მის უზარმაზარ ავტორიტეტს მეცნიერული და ფილოსოფიური აზროვნების გადასარჩენად.

ამ ქვეყნის ბედუკუღმართობისაგან გულნატკენი პატრიარქი და დიდი თეოლოგი ხსნას იმქვეყნიურ ცხოვრებაში ეძებს. „ადამიანები ხშირად გაურბიან სიკვდილზე ფიქრს, რაც არასწორია. სიკვდილი გარდაუვალი რეალობაა; იგი ახალი სიცოცხლის დასაწყისია და ღმერთთან შეხვედრის საწინდარია; ვაი მას, ვინც არ ემზადება ამისათვის“ {III. 105}. მისი უწმიდესობა გვეუბნება, რომ „მორწმუნესათვის სიკვდილის საიდუმლო იგივე თავისუფლების სიყვარულის საიდუმლოა“ {I1. 65}. ადამიანის სიცოცხლე საიქიო ცხოვრებისათვის მზადებაა. „მიწიერი ჩვენი ყოფა, — გვეუბნება იგი, — სინამდვილეში გამოცდაა და ჩვენ ვალდებული ვართ ეს გამოცდა ჩავაბაროთ. ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ვიცხოვრებთ რწმენით, სასოებით და სიყვარულით“ {III. 155}. სხვა ადგილზე მისი უწმიდესობა უფრო ღრმად განმარტავს სიცოცხლის აზრს. „სიცოცხლე არის მომზადება მარადიული ნეტარებისათვის“ {II. 6} ,ხოლო „სიკვდილისათვის მზადება“ ცოდვებისაგან განწმენდას ნიშნავს. “სინანული განმწმენდია; განწმენდის გარეშე კი ვერ მივუახლოვდებით ღმერთს“ {I. 304}. ეს, ცხადია, არ შეიძლება გავიგოთ როგორც ასკეტიზმის ქადაგება, ცხოვრებისაგან განდგომისაკენ მოწოდება. პირიქით, ადამიანმა თავისი ცხოვრება აქტიურად უნდა წარმართოს, მაგრამ ეს აქტივობა ზნეობრივი უნდა იყოს, სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საუკუნო ნეტარების დამკვიდრება.

მისი უწმიდესობის ქადაგებებში ხშირად გვხვდება ბრძნული აზრები ადამიანთა სოციალური ცხოვრების უკეთ მოწესრიგების თაობაზე. თუ

ხელისუფლებას სურს, რომ წარმატება ჰპოვოს სოციალური ცხოვრების მოწესრიგების სფეროში, მაშინ მან ისეთი კანონები უნდა მიიღოს, რომელიც კი არ დაუპირისპირდება ღვთიურ კანონებს, არამედ მასთან სრულ შესაბამისობაში იქნება. „ქვეყანაში არსებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღვთისაგან დადგენილ კანონებს“ {III.29}. მათი ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში საზოგადოება არა მარტო ვერ განვითარდება, არამედ, პირიქით, დეგრადაციას განიცდის.

საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატება დიდად არის დამოკიდებული კარგად მოწყობილ ოჯახურ ურთიერთობაზე. ოჯახი, ცხადია, ქალისა და მამაკაცის სიყვარულზეა დაფუძნებული, მაგრამ მათი სოციალური და პოლიტიკური თანასწორობა მათ შორის შრომის განაწილებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. „მამაკაცი ბუნებით ლიდერია და ესწრაფვის იყოს წინამძღოლი ოჯახისა“ {III.10}. ქალს კი შვილების აღზრდა და ყოველდღიური ოჯახური პრობლემების მოგვარება ევალება. „კარგი დიასახლისისათვის მთავარია ოჯახური ბედნიერება“ {იქვე}.

მისი უწმიდესობის ეპისტოლეებში, სიტყვებსა და ქადაგებებში კიდევ მრავალი პრობლემაა განხილული და მრავალი ბრძნული აზრია გამოთქმული. მათი სრულყოფილი ანალიზი ვრცელ გამოკვლევას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა.